

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის №01-06/03 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი**

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნის ფორმით, ვადით, შპს „ქედის კომუნალურსერვისი“- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

5. „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილამის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი ლევან გორგილაძე

7. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2019 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №26 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016269, 05/07/2018).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K – არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ზონირების მიხედვით და განისაზღვროს მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივითი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივნისის №26 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016269, 05/07/2018). ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2019 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილება (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 09/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.134.016074).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობასთან ქედის მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტთა შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილება ცხადდება ძალადაკარგულად და აღნიშნული საკითხი ჩამოყალიბდება საკრებულოს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ ახლებურად და კანონმდებლობის შესაბამისად ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით მოწესრიგდება ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი.

ძირითადი არსი რაც საფუძვლად უდევს ამ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №58/04, 22.02.2017 წელი), რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების შინაარსი წარმოადგენს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დასარეგულირებელ საკითხს.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების პროცესში გავლილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტთან სამართლებრივი კონსულტაციები.

დ. ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ამირან დევაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2019 წლის --თებერვალი

დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული
ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 მარტი.

4.ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 29 მარტი.

5.წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის 21 მარტს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის 22 მარტს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ „ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის 29 მარტი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2010 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №49 დადგენილებაში (ვებგვერდი, 01/01/2019, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016292) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, ვადით, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვნების ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

ა) ექსკავატორდამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) საჭირო კომპლექტით, საბალანსო ღირებულება - 147260 (ას ორმოცდაშვიდიათას ორას სამოცი) ლარი, რეგისტრაციის ნომერი - BS 095 S, გამოშვებული - 2016 წელს.

ბ) თვითმცლელი ნაგავმზიდი, საბალანსო ღირებულება - 189999 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას ოთხოცდაცხრამეტი) ლარი, სარეგისტრაციო ნომერი - UU797PP, გამოშვებული - 2016 წელს.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, ვადით, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-5-ე, პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა, რათა მან განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების თხოვნის ფორმით 5 წლის ვადით შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემა. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ასევე გაცნობებთ, რომ დასახელებული ქონება შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის საკრებულოს თანხმობით გადაცემული იყო 2017 წლის 02 მარტს 2 წლის ვადით რომელსაც ვადა ეწურება 2019 წლის 02 მარტს და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ქონების 5 წლის ვადით კვლავ გადაცემა.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული მოძრავი ქონების, კერძოდ:

ა) ექსკავატორდამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) საჭირო კომპლექტით, საბალანსო ღირებულება - 147260 (ას ორმოცდამედიათას ორას სამოცი) ლარი, რეგისტრაციის ნომერი - BS 095 S, გამოშვებული - 2016 წელს.

ბ) თვითმცლელი ნაგავმზიდი, საბალანსო ღირებულება - 189999 (ას ოთხმოცდა ცხრა ათას ცხრაას ოთხოცდაცხრამეტი) ლარი, სარეგისტრაციო ნომერი - UU797PP, გამოშვებული - 2016 წელს.

შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, თხოვნის უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ განახორციელოს აღნიშნული ქონების შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის პირდაპირი

განკარგვის წესით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემდეგ, განხორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი (სულიკო ბოლქვაძე)

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- თებერვალი
დაბა ქედა

ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ
საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. დამტკიცდეს ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი (ინსტრუქცია), თანახმად დანართი №1-ისა.

2. დამტკიცდეს საწვავის გაცემის უწყისების ფორმები, თანახმად დანართი №2-ისა.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი (ინსტრუქცია)

1. ზოგადი დებულებები

ა) წინამდებარე წესი (ინსტრუქცია) განსაზღვრავს ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესს.

2. ტერმინთა განმარტებები

ა) ტალონი – საწვავის (ბენზინის/დიზელის) სპეციალიზებული ბარათი, რომელიც დამზადებულია საწვავის მომსახურების მომწოდებელი კომპანიის მიერ.

ბ) პლასტიკური ბარათი – საწვავის (ბენზინის/დიზელის) სპეციალიზებული ელექტრონული ბარათი, რომელიც დამზადებულია საწვავის მომწოდებელი კომპანიის მიერ.

გ) აგაი სისტემა – ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

დ) ორგანიზაცია – ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) ლიმიტი – ორგანიზაციის თანამდებობის პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საწვავის (ბენზინის/დიზელის) ყოველთვიური ოდენობა. ლიმიტი განესაზღვრება ორგანიზაციის თანამშრომლებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის.

3. საწვავის (ბენზინის / დიზელის) გაცემა

ა) აგაი სისტემაზე ან/და პლასტიკური ბარათებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის ჩატვირთვა, ასევე საწვავის ტალონების გაცემა, ხორციელდება მხოლოდ ორგანიზაციის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ თანამდებობისა და სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ პირებზე.

ბ) სამსახურებრივ მივლინებაში მყოფი მოსამსახურისათვის გასაცემი საწვავის ოდენობა გაანგარიშებულ იქნეს ორგანიზაციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ავტო-სატრანსპორტო საშუალებების მიერ 100 კმ-ზე საწვავის წვის ნორმების, აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების ცალკეული მიმართულებით ადმინისტრაციულ ერთეულამდე მანძილისა და ამ მიმართულებით მივლინებაში ყოფნის დადგენილი დღიური ლიმიტის მიხედვით, 10 ლიტრამდე განულებით.

გ) საწვავის ტალონების ლიმიტით გათვალისწინებული ოდენობის გაცემას, ასევე აგაი სისტემაზე ან/და პლასტიკური ბარათებზე ყოველთვიური ლიმიტის მიხედვით საწვავის ჩატვირთვის მიზნით, საწვავის მომწოდებელი კომპანიისათვის ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს ორგანიზაციის მატერიალურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ან/და თანამშრომელი ყოველი თვის დასაწყისში. საწვავის ტალონების გაცემის დადასტურება ხდება ორგანიზაციის მატერიალურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ან/და თანამშრომლის მიერ ყოველთვიურად, გაცემის უწყისზე მიმდები პირის მიერ ხელმოწერით, ხოლო საწვავის ელექტრონული ფორმის შემთხვევაში, შესაბამისად, საწვავის მომწოდებელ კომპანიისათვის გაგზავნილი (ან მათგან მიღებული) ოფიციალური წერილობითი დოკუმენტის (მისი დანართის ან/და მომწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდის) მიხედვით.

დ) ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში, განსაკუთრებული გარემოების

არსებობისას, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანხმობის საფუძველზე შესაძლებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს დამატებით მიეცეთ საწვავი, რომლის ოდენობაც საანგარიშო თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს ლიმიტით დადგენილ მის მიერ მისაღები საწვავის ოდენობის 30%-ს. ლიმიტს ზევით გაცემული საწვავის დაკავება განხორციელდება პირის მიერ შემდეგ თვეში მისაღები საწვავის რაოდენობიდან, ისე რომ მის მიერ ორი თვის ჯამში მიღებული საწვავის საშუალო ოდენობა გაუტოლდეს მისთვის დადგენილ ყოველთვიურ ლიმიტს.

4. საწვავის (ბენზინის / დიზელის) ჩამოწერა

ა) ორგანიზაციის მიერ თანამშრომლებზე გაცემული საწვავის (მათ შორის, ყოველთვიურ ლიმიტს ზევით) ჩამოწერა და ფაქტობრივ ხარჯებში ასახვა განხორციელდეს გაცემის უწყისების საფუძველზე.

ფორმა ს-1
ელექტრონული საწვავის გაცემის უწყისი
«-----» 20 წელი

№	სახელმწიფო ნომერი,	საწვავის მოცულობა	საწვავი სახე	აგაი სისტემის ან/და პლასტიკური ბარათის თაობაზე ინფორმაცია (დამონტაჟებულია/მომზადებულია თუ არა)
1				
2				
3				

ორგანიზაციის მატერიალურ უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
ან/და თანამშრომელი -----
(ხელმოწერა) (ხელმოწერა გარკვევით)

ფორმა ს-2
საწვავის ტალონის გაცემის უწყისი
«-----» 20 წელი

№	თანამდებობა	საწვავის სახე	ოდენობა (ლიტრი)	ხელწერა
1				
2				
3				
...				
	სულ ჯამი	X		X

ორგანიზაციის მატერიალურ უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
ან/და თანამშრომელი -----
(ხელმოწერა) (ხელმოწერა გარკვევით)

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობასთან ქედის მუნიციპალიტეტის ინდივიდუალურ აქტთა შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ აღნიშნული საკითხის ახლებურად ჩამოყალიბება საკრებულოს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცება და საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

ძირითადი არსი, რაც საფუძვლად უდევს ამ განკარგულების მიღებას არის ამ საკითხზე უკვე არსებული ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუქცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №58/04, 22.02.2017 წელი), რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების შინაარსი წარმოადგენდა ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დასარეგულირებელ საკითხს.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური აქტის პროექტის მიღების პროცესში გავლილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტთან სამართლებრივი კონსულტაციები.

დ. ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ინდივიდუალური აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ამირან დევაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ. ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე


ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

დანართი №1



სამუშაო წელი: 2018



2019 წელი

შესავალი

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არაერთი სიახლე დაინერგა, განხორციელდა სამოქალაქო, ახალგაზრდული და თვითმმართველობის მიერ შემუშავებული ინიციატივები, გაღრმავდა და გაფართოვდა ურთიერთობები როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საფუძველი ჩაეყარა საერთაშორისო თანამშრომლობებს.

უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მზარდი ტემპი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში.

პასუხისმგებლობა ამომრჩეველთან:

მერის წინასაარჩევნო პროგრამა ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 4 პუნქტიან რეფორმების გეგმას:

1. ეკონომიკური რეფორმა;
2. განათლების რეფორმა;
3. სივრცითი მოწყობა;
4. მმართველობითი რეფორმა.

საარჩევნო პროგრამის მიხედვით, გასატარებელ რეფორმათა სტრატეგიული ორიენტირები იქნება: ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი გაზრდა.

შედეგად: 2019 წლამდე -

თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის სტრატეგია უკვე საჯაროდ იქნა საზოგადოებისთვის წარდგენილი, ხოლო საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაზე უკვე გამოცხადებულია ტენდერი.

შენიშვნა: რაც შეეხება ზოგად სტრატეგიას, დამუშავების ეტაპზეა.

მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

- ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა;
- მერიის სერვისებზე მოქალაქეთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა;
- თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა;
- კრიზისული სიტუაციების მართვა.

ვთანამშრომლობთ:

- მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველად, გაფორმდა საერთაშორისო კუთხით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის ქალაქ კრემენეტთან. თანამშრომლობა კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საინფორმაციო სფეროებში განხორციელდება. მემორანდუმს ხელი კრემენეტის მერმა ალექსეი კოვალჩუკმა მოაწერა.
- აქტიურად მიმდინარეობს საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხის განხილვა ასევე, პოლონეთის მხარესთან. კერძოდ, ქალაქ ნოვი ტომისლთან.
- აქტიურია თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: CENN, EMPARD, NAF, DVV international, დემოკრატიის ინსტიტუტი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, ქედის ზრდასრულთა ცენტრი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაცია, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, ახალგაზრდულ მეცნიერებათა კავშირი „ინტელექტი“, შავი ზღვის ეკო აკადემია, ქალები სამართლიანობისთვის, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, ქალ ბიზნესმენტა ასოციაცია, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი, და ა.შ.
- მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში;

შენიშვნა: წლის განმავლობაში გაფორმდა 4 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

ქედაში მოქმედი სერვისების გაცნობის მიზნით, მუნიციპალიტეტს სომხეთიდან დელეგაცია სტუმრობდა, რომელსაც ალავერდის მუნიციპალიტეტის მერი - ნარიქ სარქისიანი ხელმძღვანელობდა. ასევე, ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ოფიციალური მიღება გაიმართა გერმანიის DVV international-ის წარმომადგენელთან, რომელმაც ივნისის თვეში, მუნიციპალიტეტის პირველი პირი საქმიანი ვიზიტით ბერლინში მიიწვია.

ქედის მერი, სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, მიწვეული იყო უკრაინის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქალაქ ტერნოპოლში და ქალაქ კრემენეტში. ასევე, ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლი ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“ იმყოფებოდა ესტონეთში ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, სახელოვნებო სკოლასთან არსებული ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ჩანგი“ ბულგარეთში იმყოფებოდა გასტროლებით, ანსამბლი „ბეთლემი“ ბაქოში, ხოლო ქედის კულტურის ცენტრი თურქეთში, ქალაქ ინეგოლში წიგნის - „პიტერ გოლდის კვალდაკვალ“

პრეზენტაციაზე, საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, თანამშრომლობის ფარგლებში, მონაწილეობდა ფინანსისტთა კონფერენციაზე უკრაინაში.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი წარჩინებული სტუდენტისათვის შეძენილი იქნა ქუთაისი-პარიზი-ქუთაისის სამგზავრო ავიაბილეთები. თურქეთის რესპუბლიკაში კი აბა ჭიდაობაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქედელმა სპორტსმენმა მარად გორგაძემ.

ქედის მერიამ უმასპინძლა გერმანიის, სომხეთის, ესტონეთის, უკრაინის და თურქეთის დელეგაციის მიღებას ეტიკეტის მიხედვით, 14 ქვეყნის პრინცსა და პრინცესას, XII საერთაშორისო ოფროუდ ფესტივალს ქედაში, აშშ საელჩოს წარმომადგენლის ვიზიტს, ამერიკელ მკვლევარს პიტერ გოლდს და ა.შ.

დანერგული სიახლეები:

- მმართველობის სტილი;
- სახალხო ბიუჯეტი - ქედის ისტორიაში პირველად გამოიკითხა მოქალაქეები თუ რა სურდათ ასახულიყო ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაბამისად, მათ მიერ დასახელებული პრიორიტეტები გაიწერა მუნიციპალიტეტის მთავარი დოკუმენტში;
- ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება - „სთორით არტი“
- მოსახლეობის აზრის კვლევა ამა თუ იმ პროექტთან დაკავშირებით;
- პერმანენტული საქველმოქმედო აქციები;
- ონლაინ პეტიცია;
- საჯაროობა;
- ინგლისურენოვანი ვებ-გვერდი;
- სტრატეგიებზე მუშაობა;
- საერთაშორისო თანამშრომლობები;
- თვითმმართველობისა და სამოქალაქო სექტორის თანამონაწილეობითი ინიციატივების განხორციელება;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
- პროექტში „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ გაწევრიანება და ა.შ.

ჩართულობა:

- მოსახლეობასთან სისტემატიური კონტაქტი, მათი საჭიროებების ადგილზე შესწავლა და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების პროცესში;
- კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და პარასკევს, მოქალაქეთა ოფიციალური მიღება;
- დაგეგმილი პროექტების, ბიუჯეტის და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივების საჯარო განხილვები;

- სხვადასხვა აქციებისა და კამპანიების ორგანიზება;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო შტაბის ეფექტური მუშაობა;
- საზოგადოებისათვის ნებისმიერი საკომუნიკაციო არხი ღიაა - მესიჯბოქსი, უშუალო შეხვედრები, ოფიციალური შეხვედრები, სატელეფონო კავშირი, ფაქსი, ინტენსიური თანამშრომლობა ბეჭდურ, ტრადიციულ და არატრადიციულ მედია საშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, პრესა, სოციალური ქსელები), ელექტრონული მიმოწერები და ა.შ.

ნებისმიერ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება მერიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, ქედის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - **f-ქედის მუნიციპალიტეტი. Keda municipality**, მოსახლეობის აზრის საკვლევად არაერთი ინტერაქტივი განხორციელდა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა 2018 წელთან მიმართებაში

2018 წლის ქედის მთავარი დოკუმენტის ბიუჯეტმა 9 536 900 ლარი შეადგინა; ანალოგიურ, 2017 წლის ბიუჯეტთან (8 157 700) მიმართებაში ბიუჯეტი 1 379 200 ლარით გაიზარდა.

ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ტურიზმის განვითარება;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის სფეროების ხელშეწყობა.

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის შესრულების შესახებ:

✓ შე მო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N48 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11 418 399 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 484 643 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის მდგომარეობით მიღებულია:

- გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 4 538 200 ლარი,
- აჭარის ა რ ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი - 959 000 ლარი,
- აჭარის ა რ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 66 244 ლარი,

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 905 821 ლარი, მათ შორის:

- ქონების გადასახდი - 554 417 ლარი,
- საშემოსავლო გადასახადი - 351 404 ლარი,

სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა - 656 021 ლარი, მათ შორის:

- პროცენტები - 21 786 ლარი,
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 358 281 ლარი,
- შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1 717 ლარი,
- სანებართვო მოსაკრებელი - 1 405 ლარი,
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 19 396 ლარი,
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - 13 600 ლარი,
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 51 791 ლარი,
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 187 645 ლარი,

ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 9 065 ლარი.

2017 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 90,6%-ით.

✓ გადასახდელები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2018 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 484 643 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 373 933 ლარი. (90.3%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 984 104 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 959 418 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 544 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 542 432 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 407 730 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 391 611 ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 25 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25 375 ლარი.

II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება სფეროს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 60 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 884 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 60 400 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 884 ლარი.

2018 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის გეგმა – დავალება შეადგენდა 52 წვევამდელს. წვევამდელთა შემკრებ - გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილი იქნა 74 წვევამდელი. მათგან:

- მუდმივმოქმედმა სამხედრო - სამედიცინო საექსპერტო კომისიამ ცნო ვარგისად სამხედრო სამსახურისთვის და გაწვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში - 31 წვევამდელი.
- 23 წვევამდელი მუდმივმოქმედმა სამხედრო სამედიცინო - საექსპერტო კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის.
- 16 წვევამდელი ჩაითვალა დროებით უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მიეცათ გაწვევისაგან გადავადების უფლება ერთი წლის ვადით.
- 4 წვევამდელი გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე.

გაწვევით სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის მიზნით:

- შ.ს.ს. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა - 8 წვევამდელი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში ჩაირიცხა - 4 წვევამდელი.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 2 წვევამდელი და 5 – რეზერვისტი.

138 ჭაბუკი აყვანილი იქნა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, ხოლო წლის განმავლობაში რეზერვში ჩარიცხულია - 135 სამხედრო ვალდებული.

- დროებითი მოწმობა გაცემულია 51 რეზერვისტზე.

III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 492 246 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 546 478 ლარი, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 792 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 774 919 ლარი, საიდანაც:

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 488 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 488 628 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 219 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 212 052 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაკიდული ხიდების რეაბილიტაციის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 682 ლარი.

წონიარისის ცენტრში საჯარო სკოლის, ბაგა-ბაღის და საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 43 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35 557 ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 131 779 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 3 224 824 ლარი, საიდანაგ

შპს „ქედის კომუნალურისერვისი“ 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 460 020 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 459 719 ლარი.

ნაგვის შემგროვებელი ურნების შეძენა სოფლებისათვის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 47 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 740 ლარი.

შპს „ქედის წყალკანალი“ 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 266 594 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 266 594 ლარი.

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 400 ლარი.

დანდალოს თემში (ოტოლაძეების უბანში) წყალმომარაგების უზრუნველყოფა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 61 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 323 ლარი.

სოფელ ორცვაში ქაჯაებისა და კაკაბაძეებისუბანში 18 ოჯახზე სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 493 ლარი.

გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 38 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35 960 ლარი.

ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 97 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 67 650 ლარი.

ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 635 ლარი.

კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 121 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 114 087 ლარი.

სარწყავი არხების სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 453 ლარი.

სოფელ წონიარისის (ბარის უბნის) სასმელი წყლის სისტემის რემონტი 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 474 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 731 065 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 862 940 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 157 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 157 330 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 800 000 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 913 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 905 494 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი) 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 537 265 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 512 347 ლარი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა(წონიარისის ხიდი, საღორეთის, ცივასულას და ქილისას ციხეებზე ტურისტული მარშუტების მოწყობისათვის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა) 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 150 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 125 478 ლარი.

აწქესის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 172 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 162 291 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 183 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 157 514 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 341 321 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 332 493 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 830 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 203 046 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 190 704 ლარი.

ეკონომიკური განვითარების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების მართვის განყოფილებების მიერ 2018 წელში საქმიანობა წარმართული იყო სამსახურის დებულებისა და თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

შესყიდვების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად წლის განმავლობაში განხორციელდა - **5 673 082 ლარი** სახელმწიფო შესყიდვა ელექტრონული ტენდერების მეშვეობით. ჯამში, სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე წლის განმავლობაში გამოცხადდა - **182 ელექტრონული ტენდერი**, აქედან:

- დადებითად დასრულდა - **146 ტენდერი**,
- არ შედგა - **21 ტენდერი**,
- დასრულდა უარყოფითად და შეწყდა - **15 ტენდერი**.
- განხორციელდა კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით - **14 შესყიდვა**,
- გამარტივებული წესით - **147**.

სულ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმდა **307 ხელშეკრულება**.

ქონების მართვის განყოფილების მიერ წლის განმავლობაში მომზადებული იქნა სხვადასხვა ქონების სარეგისტრაციოდ - **72 საკადასტრო აზომვითი ნახაზი**.

- კერძო აუდიტის მიერ შეფასებული იქნა - **22 ერთეული ქონება**,
- დამტკიცებული იქნა საპრივატიზაციო ქონების ნუსხა - **26 ერთეულ ქონებაზე**,
- წლის განმავლობაში გასხვისდა ელექტრონული აუქციონით - **6 ერთეული ქონება**.

მომზადდა დოკუმენტაცია **25 ერთეულ ქონებაზე** სახელმწიფო უწყებებზე გადაცემის მიზნით, მათ შორის: **22 ერთეული სარწყავი არხის** საგზაო დეპარტამენტისთვის მოვლა შენახვის მიზნით გადასაცემად. წლის განმავლობაში საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული იქნა **33 ერთეული მუნიციპალიტეტის უძრავი ქონება**.

მომზადებული იქნა მოსაკრებლების გადამხდელთა ბაზა. სულ დარიცხული იქნა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე **32 000 ლარი**.

წლის ბოლომდე მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში კი შემოსული თანხა შეადგენს 20 000 ლარს.

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები

გაზიფიცირება



ახლადათვისებული ტერიტორიის - აჭარისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების კეთილმოწყობა

შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ ქედის მერია პროექტის მეორე ეტაპის გაგრძელებას აპირებს. ნაპირსამაგრი სამუშაოების შედეგად, ახლადათვისებულ ტერიტორიაზე დაიგეგმება პარკინგისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობა, რაც ორ ძირითად პრობლემას მოაგვარებს: დაცული იქნება ქვეითთა უსაფრთხოება და განიტვირთება დაბა ქედის ცენტრის მიმდებარე ტერიტორია.




სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები



შენიშვნა: გეგელობების მეჩეთის მიმდებარედ, ქედის მერია მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს სამირკვლის ჩამოშლის საფრთხე იანვარში შეექმნა. მეწყრული პროცესები საფრთხეს უქმნიდა ასევე იქვე მდებარე ორ საცხოვრებელ სახლსაც.

ზუნდაგის და მეძიზნის მრავალფუნქციური სახლები



სოციალური სახლი



ქედის კულტურის სახლის მაკეტი



ტურისტული ინფრასტრუქტურა



კომუნალური მეურნეობა, სკვერების კეთილმოწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, სასმელი წყლის მაგისტრალების და სხვა მსხვილი პროექტები, რომელიც წლის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა.

შენიშვნა: გარდა აგარის სოციალური სახლის პროექტისა, რომელიც 2019 წელს განხორციელდება.

წინა წელთან მიმართებაში:

<i>კაპიტალური პროექტები</i>	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
საგზაო ინფრასტრუქტურა	482,734	492,300
გარე-განათების მოწყობა, სანიტარული დასუფთავებისა და გამწვანების ღონისძიებები	862,881	435,400
კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,151,094	2,724,700
წყალმომარაგების უზრუნველყოფა	819,347	427,500
მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	587,883	337,497

<i>მუნიციპალური ორგანიზაციების დაფინანსება</i>		
	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
შპს ქედის წყალკანალი	198,936	266,594
შპს ქედის კომუნალურსერვისი	333,998	460,020
ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	1,065,609	1,226,200
ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი	386,051	546,290
ა.ა.ი.პ. ქედის მუზეუმი	61,292	72,800
ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	113,148	170,900
ა.ა.ი.პ. ქედის ხელოვნების სკოლა	113,518	120,660

IV. განათლება

განათლების სფეროს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 921 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 877 677 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 921 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 877 677 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 226 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 220 019 ლარი.

მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 498 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 494 038 ლარი.

მერისის ბაგა-ბაღის რემონტი 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 39 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 086 ლარი.

ხარაულის ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 51 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 991 ლარი.

მუნიციპალიტეტში არსებულ ბაგა-ბაღებში ეზოების კეთილმოწყობა და ატრაქციონების შეძენა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 67 879 ლარი.

წონიარისის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 663 ლარი.

V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 246 090 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 179 324 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 435 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 373 844 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 170 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 168 737 ლარი.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 973 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 220 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 75 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 72 592 ლარი.

მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 321 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 810 190 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 805 480 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 546 290 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 545 068 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119 345 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 72 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71 629 ლარი.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65 140 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64 788 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 650 ლარი.

განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილების მიზნობრივ პროგრამაში განხორციელდა 4 (ოთხი) ცვლილება. პროგრამაში დაემატა ახალი ღონისძიებები, ხოლო ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დარჩენილი ეკონომიები გადატანილ იქნა სხვა ღონისძიებებში. მომზადდა 33 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების სატენდერო დოკუმენტაცია, კერძოდ:

- საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი“-ს ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტში და მასში ქედის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა (დაბა ქედაში),
- ქ. თბილისში ეტალონის ფინალურ ტურში ქედის ეტალონ მოსწავლისა და გულშემატკივართა დასწრება.

- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (ღონისძიების ფარგლებში შეჩეული და მოწვეული იყო 75 მრავალშვილიანი და ღვაწლმოსილი ქალბატონი, რომლებსაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. ამ დღესთან დაკავშირებით მოეწყო კონცერტი ქედის კულტურის ცენტრში).
- ქ. თბილისში დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ჩანგის“ მონაწილეობა. (ღონისძიების მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული ფოლკლორული ანსამბლების, ქართული ხალხური სიმღერის წარმოჩენა-პოპულარიზაცია, არამატერიალური კულტურის შენარჩუნება, შემდგომი განვითარება და ა.შ. ღონისძიებაში მონაწილეობდა 28 ბავშვი, რომლებსაც გაეწიათ სატრანსპორტო და კვებითი მომსახურება).
- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე (მოეწყო დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - სახელწოდებით „მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან. ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები, მოსწავლეები და საზოგადოების სხვა წევრები. განხორციელდა საგამოფენო კუთხის მოწყობა, ფერადი წინდების აქცია, ნახატების გამოფენა, მოლბერტზე ხატვა, სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების კონცერტი).
- აუტიზმის საერთაშორისო დღე (ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ნახატების გამოფენა, მოლბერტებზე ხატვა, კონცერტი, ღონისძიებაში ჩართული იყვნენ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები, სკოლის მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული პირები).
- სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა (ღონისძიება ჩატარდა სამ ეტაპად. კონკურსანტთა შერჩევა-გამოვლენას ახორციელებდა მოწვეული კომპეტენტური ჟიურის წევრები. ღონისძიების ფარგლებში მიზნობრივი პროგრამით განხორციელდა მონაწილეთა სატრანსპორტო მომსახურებები, ჟიურის წევრების გამასპინძლება.
- 9 აპრილი - ღონისძიების ფარგლებში მემორიალური დაფა შეიმკო ყვავილებითა და გვირგვინით, შესრულდა პარაკლისი.
- აღდგომა (ღონისძიების ფარგლებში სოციალურად დაუცველი უფასო კვების 26 ბენეფიციარს გადაეცა სააღდგომო ტკბილეულის ფუთა).
- 9 მაისი - ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კულტურული აქტივობები, ყვავილებითა და გვირგვინით შეიმკო დაბა ქედის, წონიარისისა და ცხმორისის მემორიალურ დაფები.

- 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა კვირეული, რომლის ფარგლებში მოეწყო:
 - 1 დღე - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული ქედაში, ქედის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, თემატური პუბლიკაციებისა და ნახატების გამოფენით გაიხსნა. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა სემინარი, რომელშიც მონაწილეობას ქედის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები; 2 დღე - კონცერტი ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში; საფორტეპიანო განყოფილებამ კლასიკური მუსიკის საღამო გამართა, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები და საზოგადოების წევრები ესწრებოდნენ. 3 დღე - ფლეშმობი დაბა ქედის ცენტრში (საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად ქედის ცენტრში ფლეშმობი „ხორუმი“ გაიმართა. სანახაობას, მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან და საზოგადოების წევრებთან ერთად, ქალაქ ბათუმში თურქეთის გენერალური კონსული მაქბულე ქოჩაკი ესწრებოდა.); რუსთაველის ქუჩაზე მდებარე პარკში, მოეწყო ხატვა თემაზე „დამოუკიდებელი საქართველო 100 წლისაა“, თემატური ნახატები კი სკვერში გამოიფინა. 4 დღე - საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მსვლელობა ქუჩებში და კონცერტი დამოუკიდებლობის თემატიკით; 5 დღე - მარათონი დაბა ქედის ტერიტორიაზე; ქედის სასპორტო სკოლაში სპორტული აქტივობები - ფრენბურთში, კალათბურთში, ბირთვის კვრამი; ფრანების აქცია და სხვა ღონისძიებები; მოეწყო გალა კონცერტი.
- ბაირამი (ღონისძიების ფარგლებში მუსლიმ მომლოცველებს გადაეცა ტკბილეულის ფუთები).
- ქ. ბათუმში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო ბათუმი“ მონაწილეობა 3 დღე (11,12,13 მაისი 2018 წელი);
- მასწავლებელთა საერთაშორისო დღის ღონისძიების ორგანიზება-ქედის მუნიციპალიტეტის მასწავლებელთა მეორე მუნიციპალური კონფერენციის ჩატარება.
- შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ღონისძიება (მოეწყო ტრეინინგ-სემინარი რომელშიც ჩართული იყო 30 მოსწავლე და სხვა დაინტერესებული პირი).
- ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო-თოფუზი“ - ფესტივალის მიზანს წარმოადგენდა ქართული ანიმაციის პოპულარიზაცია, ასევე ბავშვებისა და მოზარდების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებმა გაეცნენ ფილმის წარმოების ყველა ეტაპს, ანიმაციის ტექნოლოგიებს და

იმ კომპიუტერულ პროგრამებს, რომლის საშუალებითაც ხდება ფილმზე მუშაობა. გაიმართა ხატვა, ვორქშოფი, ბარაბან შოუ, სააქტო დარბაზში კი უახლესი ქართული და უცხოური ანიმაციური ფილმების ჩვენება.

- ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“-ს რეგიონალურ და დასკვნით ტურებში ანსამბლების მონაწილეობა.
- ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა მერისის ხეობაში.
- შუამთობა - მოეწყო კვირეული, რომლის ფარგლებშიც გადაეცა ფასიანი საჩუქარი 20 უზუცეს მოიალადეს, (გენერატორი) ქვ. ღარათის მთის მოიალადეებს, 60 მოიალადე ოჯახს გადაეცა ხილი. კვირეულის ფარგლებში განხორციელდა მთებში - კვესაური, ჩირუხი, სარიჩაირი, ქედა- ქვედა ღარათი, გომის მთა, პ/მაისი-ტბათი, მერისის მთებში გასვლითი ღონისძიებები, კონცერტები.
- 08 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ღონისძიების ფარგლებში 8 აგვისტოს ომში დაღუპული გმირის საფლავი შეიმკო ყვავილებითა და გვირგვინით.
- სახალხო ზეიმი „შემოდგომა ქედაში“ - (ღონისძიების ფარგლებში მოეწყო: სპეციალური ღია ავტომობილით მუსიკალური ჯგუფის მსვლელობა ქედის ქუჩებში რომლებმაც მოსახლეობას გააცნო ღონისძიების პროგრამა. ქედისა და უკრაინის, კრემენეცის მუნიციპალიტეტებს შორის დამეგობრების ცერემონიალი; ევროპული წელის აღსანიშნავად ქედის ხიდზე აგრო-ბაზრობა, ქედელი ფერმერების - მეღვინეების, მეთაფლეების, მეთამბაქოეების, მეთევზეების და ა.შ. პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, არასამთავრობო ორგანიზაციების - „სენი“ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პუბლიკაციების გამოფენა, ნატოს საინფორმაციო ცენტრის კუთხე, ქედის ცენტრალურ კიბეზე თემატურად კედლის მოხატვა, წარმატებულ სპორტსმენებთან ერთად მსვლელობა ქედის ხიდიდან სასპორტო სკოლამდე, სპორტული შეჯიბრებებში ნარდში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში ფალავანის გამოვლენა, ფეხბურთი, მოეწყო აჭარული კერძების მომზადების, ღვინის დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის, ჭიბონის, ხეზე კვეთის, თამბაქოს ჭრის, გიდელის, გოდრისა და ბადის ქსოვის იმიტაციები, მოეწყო აჭარული კერძების, ფოტოებისა და პუბლიკაციების, ეთნოგრაფიული და სამუზეუმო ექსპონატების გამოფენები, მოეწყო ნობათის კუთხე - „შემოდგომის ნატურმორტი“, ქედელი გმირის ინსცენირება ფილმიდან „მევლუდი“, საბავშვო ღონისძიებები - გასართობი ატრაქციონები, ბავშვების გამასპინძლება ნაყინით, ბურბუშელეებითა და ფერადი ბუმბუტებით, ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“-ს მოკლე ექსკურსი, საპატიო ქედელების დაჯილდოების ცერემონია, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი. როველი და

ტრადიციისამებრ, ღვინის დაწურვის ცერემონია. კონცერტი, აგრო გამოფენა, სპორტული შეჯიბრებები).

- პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ - ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა - (პროექტი მიზნად ისახავდა ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სპორტული, კულინარიული, გასართობი და სახალისო აქტივობები, კერძოდ: პეინტბოლში, კულინარიული დუელში, შეჯიბრება ზიპლაინსა და მშვილდოსნობაში, ასევე ჩემპიონატი ჯომარდობაში. ღონისძიებები ჩატარდა სამ ეტაპად (სექტემბერ-ოქტომბერში), ბორჯომის ხეობის სოფელ ჩითახევში, სადაც მოწყობილია ადაპტირებული გარემო. პროგრამით უზრუნველყოფილი იქნა სატრანსპორტო და კვებით მომსახურება.
- ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები“, რომელსაც თომა კაკაბაძე უძღვებოდა, ესწრებოდნენ აგრეთვე ქედის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ლექციის მიზანი იყო მოზარდებში ცნობიერების ამაღლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
- ქ. ბათუმში აგროსასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების გამოფენა-გაყიდვა აგრო ბათუმი 2018 მონაწილეობა 3 დღე (31 სექტემბერი 1,2 ოქტომბერი 2018 წელი);
- ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე (ღონისძიების ფარგლებში 1927-1928 წლებში დაბადებულ 43 ბენეფიციარს გადაეცა ფასიანი საჩუქრები და ტკბილეულის ფუთა).
- მასწავლებელთა საერთაშორისო დღე (მოეწყო კვირეული, ღონისძიების ფარგლებში საჯარო სკოლისა და სხვადასხვა სექტორში დასაქმებულ და ღვაწლმოსილ 30 პედაგოგს გადაეცა ფასიანი საჩუქრები. ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა კულტურული აქტივობები).
- მოწვეული სტუმრების დაინტერესება მუნიციპალიტეტის კულტურული ძეგლებით, ტურისტულად საინტერესო ადგილების მონახულება.
- სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში ანსამბლების მონაწილეობა.
- ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- ჩავერთე „ევროპის დღეები ქედში“ და „ევროპული წელი“- ს ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში.

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კვირეულის ფარგლებში ლაშქრობის მოწყობა წონიარისის ხეობაში. სოფ. წონიარისში, ჯაიმელას ხიდისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.
- მიმდინარე წლის საახალწლო-საშობაო ღონისძიებები (ნაძვის ხის ანთების ცერემონია, საბავშვო მიუზიკლის „ფიფქია და სამი გოჭი“ მოწვევა-დადგმა; სპექტაკლის „ზევით ყვავილებთან მინდა“ მოწვევა-დადგმა; წინა საახალწლო კონცერტი და სხვა აქტივობები).

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების მიზნობრივ პროგრამებში განხორციელდა 8(რვა) ცვლილება, გამოცხადდა 11 (თერთმეტი) ელექტრონული ტენდერი სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებების მომსახურების შესყიდვაზე. ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღონისძიებების მომსახურების შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიების ხარჯზე დამატებული იქნა ახალი ღონისძიებები და ასევე დამატებული იქნა თანხა არსებულ ღონისძიებებზე:

- **ჭადრაკი აჭარის პირველობა** (8, 10, 12, 14, 16, 20 წლამდე ასაკის ბავშვები), სადაც ქედის ა(ა)იპ სასპორტო სკოლის ჭადრაკის სექციის 8-8 მონაწილე ღებულობდა მონაწილეობას ქალაქ ბათუმში გამართულ ტურნირზე,
- **თავისუფალი ჭიდაობა, საქართველოს პირველობაზე** 7 სპორტსმენმა იასპარეზა 3 დღიან ტურნირზე,
- **„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018“-ში**, ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობა, სადაც მუნიციპალიტეტის სკოლის 2002-2004 წელს დაბადებული ბავშვები ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში (მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, მინი ფეხბურთი და მხიარული სტარტები), გაიმართა შესარჩევი მუნიციპალური თამაშები მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცით მედლები, სიგელები და თასები. მუნიციპალიტეტში გამარჯვებულმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმში რეგიონალურ თამაშზე. რეგიონალურ თამაშზე გამარჯვება მოიპოვა ფრენბურთში დანდალოს საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა და მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშზე (ლამისთევა, კვება, ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი იყო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში).
- **ქედაში ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთი აჭარის ჩემპიონატი**, ღონისძიებაში 4 (ოთხი) მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი ღებულობდა მონაწილეობას, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებიც. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2018 წლის მოსწავლეთა სპორტული თამაშების ფარგლებში

ჩატარდა ჭადრაკის ჩემპიონატი და მაგიდის ჩოგბურთი, რომელშიც ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. დაფინანსდა ქ. ბათუმში, ქედის ქართული ჭიდაობის 2001-2003 წწ და 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენების ნაკრები გუნდები, სადაც ქედის სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა და დაჯილდოვდნენ სიგელებითა და მედლებით.

- **ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები**, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 16 საჯარო სკოლის გუნდი. შეჯიბრი გაიმართა სპორტის შემდეგ სახეობებში: **მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ფრენბურთში, ფეხბურთში**. ღონისძიებებში ღებულობდა საჯარო სკოლების 210-მდე მოსწავლე, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს გადაეცათ თასი, მედალი, სიგელი და ფასიანი საჩუქარი.
- მუნიციპალიტეტში გაიმართა **ქართული ჭიდაობა, აჭარის აბსოლიტური პირველობა, ფალავნობა** - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ორგანიზებით და აჭარის ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერით, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ოთხი მუნიციპალიტეტის 50-მდე სპორტსმენი. **ავთანდილ ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს** ორგანიზება გაეწია ა. (ა). ი. პ ქედის სასპორტო სკოლასთან ერთად, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის, ბათუმის და ხულოს ნაკრები გუნდები. გარდამავალი თასის მფლობელი გახდა ქედის ნაკრები გუნდი.
- ჩატარდა **არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში**. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდნენ 14 საჯარო სკოლის გუნდი.
- ვაიოს საჯარო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გოგონათა გუნდს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მალტაში მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადაზე საზეიმო გაცილება მოვუწყეთ ქედის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ორგანიზებით. ჩატარდა ქ. თბილისში თორნიკე ლოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღეს ა. (ა). ი. პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრებმა გუნდმა.
- ქ. ბათუმში გაიმართა **თავისუფალი ჭიდაობა - ქოლგიანი დელფინი და კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში** სადაც სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა არაერთი საპრიზო ადგილები დაიკავეს.
- **მაგიდის ჩოგბურთი ამხანაგური შეხვედრა** ქალაქ ბათუმში ჩატარდა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან, სადაც ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის

ჩოგბურთის ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და დაიკავა საპრიზო ადგილები.

- **ქართულ ჭიდაობაში ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირში** (ქ. ბათუმი) იასპარეზა ქედის სასპორტო სკოლის ნაკრებმა გუნდმა, სადაც სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა არაერთი საპრიზო ადგილები.
- **ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან** დაკავშირებით გაიმართა ქედის სასპორტო სკოლაში სხვადასხვა სპორტული აქტივობები, გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები, მედლები და სიგელები.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ს.ს.ი.პ „**ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი**“-ს პროგრამის - „**მომავლის ბანაკი**“-ს ფარგლებში და მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ორგანიზებით ქედელ ახალგაზრდებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო ინიციატივებსა და გეგმებზე. ასევე იმ შესაძლებლობებზე, რომლითაც ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია ისარგებლოს. პროექტის მიზანია მოსწავლეთათვის რეკრეაციული, საგანმანათლებლო შემეცნებითი, სპორტული და კულტურული გარემოს შექმნა.
- მეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ ჩატარდა „**მეგლთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება**“, სადაც ქედის საჯარო სკოლის მე-8, მე-9 კლასის მოსწავლეებიც ღებულობდნენ მონაწილეობას ხელვაჩაურის საჯარო სკოლის მოსწავლეების ერთად.
- **ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“**, სადაც ქედის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 5 მოჭადრაკემ და მწვრთნელმა.
- **ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი 2018“**, სადაც ქედის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 5 მოჭადრაკემ და მწვრთნელმა.
- **ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში**, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იყო 9 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი, პირველობაში მონაწილეობას ღებულობდა 14 მუნიციპალიტეტის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდი, ქედელმა სპორტსმენებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები.
- **პაატა გარსევანიშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში**, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იყო 9 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი, პირველობაში მონაწილეობას ღებულობდა 12 მუნიციპალიტეტის მაგიდის ჩოგბურთის ნაკრები გუნდი, ქედელმა სპორტსმენებმა დაიკავეს საპრიზო ადგილები(ორი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი).
- **ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი**, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იყო 7 სპორტსმენი და ერთი მწვრთნელი,

პირველობაში მონაწილეობას ღებულობდა აჭარის მუნიციპალიტეტების ნაკრები გუნდები, ქედელმა სპორტსმენებმა ამ ტურნირში წარმატებას მიაღწიეს და სხვადასხვა წონით კატეგორიაში დაიკავეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები.

- ასევე პროგრამით დაფინანსდა დავით კვინიკაძის სახელობის (ხაშური) ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 სპორტსმენმა, უზრუნველყოფილი იყო ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.
- ფეხბურთში ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში, დაფინანსებული იყო 2007-2008 წ ფეხბურთელთა გუნდი.
- „კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში“ გაიმართა ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში და რესურსცენტრის ორგანიზებით, მონაწილეობას ღებულობდა 180 მოსწავლე.
- ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ ჩემპიონატში ორგანიზება გაეწია აჭარის ქედის მუნიციპალიტეტში გამარჯვებული სამი საჯარო სკოლის გუნდის მონაწილეობას ქ. ბათუმში (უჩხითი, წონიარისი და სოფ: ცხმორისი), პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო კვება და სატრანსპორტო მომსახურება.
- „ინტელექტის დღე 2018“-ის შესარჩევი მუნიციპალური თამაში ჩატარდა მუნიციპალიტეტში, ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა 14 საჯარო სკოლის გუნდი და გამარჯვება მოიპოვა უჩხითის საჯარო სკოლის გუნდმა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში ინტელექტის დღე 2018“-ის ფინალურ თამაშში. გუნდის ტრანსპორტირება და კვების ხარჯები დაფინანსდა პროგრამის ფარგლებში.
- შეიცანი საქართველო (ახალგაზრდების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში), პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 21 ახალგაზრდა, რომლებმაც დაათვალიერეს დასავლეთ საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები.
- თავისუფალი პროექტების დაფინანსება, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდების ინიცირებული პროექტი „სთრით არტი“ ქედაში და მოიხატა გადასასვლელები ადგილები აგრეთვე დაბა ქედის ცენტრალური კიბე.
- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე- 12 აგვისტო, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 250-მდე ახალგაზრდა, მოეწყო სხვადასხვა სახის აქტივობები, ჩატარდა კონცერტი ადგილობრივი მუსიკალური გუნდების მონაწილეობით.

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ტრენინგი თემაზე „საჯარო სკოლაში თვითმართველობის გაძლიერებაზე“ ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სკოლების თვითმართველობის თავჯდომარეები და წევრები.
- ლაშქრობა მაჭახლის ხეობაში, მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები 40-მდე ახალგაზრდა. პროგრამით უზრუნველყოფილი იქნა სატრანსპორტო და კვებითი მომსახურება.
- ორგანიზება გაეწია აჭარის ა/რ პირველობას მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იყო 11 მონაწილე სატრანსპორტო და კვებითი მომსახურება, ამ ტურნირზე ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდა დაიკავა მეორე ადგილი.
- „მოყვარულთა თასის 2018“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იყო 16 მონაწილე, ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრებმა გუნდა დაიკავა პირველი ადგილი და ღირსეულად მოიპოვა დასავლეთ საქართველოს რეგიონალური თამაშში მონაწილეობის უფლება.
- ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ველოტურის „საქართველოს მშვიდობისათვის“ ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტს ესტუმრა ქედელი ველომოგზაურის ნოდარ ბერიძე, მერიის, რესურსცენტრის და ველო-კლუბის ორგანიზებით სიმბოლური მარათონი გაიმართა შუახევისა და ქედის საზღვრიდან დასაწყისს თაღოვან ხიდამდე.
- აჭარის დებატკლუბის 06-07 ივნისს ორდღიან ტრენინგს (დ. ქედა) კარლ პოპერის დებატების ფორმატში სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეების (20-25 მოსწავლე) მონაწილეობას ორგანიზება გაეწია აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით.

შენიშვნა: წარმატებულ სპორტსმენებს წლის ბოლოს, ქედის მერიამ ფულადი ჯილდოები გადასცა.

V. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 780 302 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 751 152 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 573 628 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 551 656 ლარი, საიდანაც

ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 900 ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 900 ლარი.

ამბულატორიული მომსახურების პროგრამის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 105 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 104 954 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 140 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 133 832 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 83 750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 77 300 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 12 255 ლარი.

პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 778 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 10 779 ლარი.

სოფელ მეძიბნაში სამედიცინო პუნქტის (და სოფლის სახლის) მშენებლობა და ინვენტარის შეძენა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 142 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 142 309 ლარი.

თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 52 236 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 206 674 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199 587 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 790 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 492 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 500 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 51 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 900 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 024 ლარი.

ცერემონიული დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 796 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 62 984 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60 392 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 482 ლარი.

მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს, მიმდინარე წელს, ორი ახალი მიზნობრივი პროგრამა დაემატა:

1. საკრებულოს მიერ ინიცირებული - „პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 9 700 ლარს და სარგებლობს 15 ბენეფიციარი;
2. არასამთავრობო ორგანიზაცია „დახმარების ეროვნული ფონდი“-ს თანადაფინანსებით - „ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის“ პროგრამა, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 12 660 ლარს და სარგებლობს 12 მოქალაქე.

შენიშვნა: „შინ მოვლის პროგრამას“ დაემატა ახალი სერვისი, სანტექნიკოსთა ჯგუფის მომსახურება.

მერიაში მოქმედებდა 13 მიზნობრივი პროგრამა და **455-ზე მეტი ბენეფიციარი** სარგებლობდა. გარდა ამისა, სტიქიის შედეგად დაზარალებულ 28 ოჯახს გაეწია შუამდგომლობა და დაკმაყოფილებული იქნა საცხოვრებელი ფართით 22 ოჯახი.

- დახმარება გაეწია ხანძრით დაზარალებულ 6 ოჯახს.
- **8 ამბულატორიას** ჩაუტარდა რემონტი;
- **2 თსპ** განთავსდა ახლადგარემონტებულ გარემოში.
- **30 მაისს და 16 ივლისს** განვითარებული სტიქიების დროს, მერიაში მოქმედმა შესაბამისმა ზარალის დამთვლელმა კომისიამ ეფექტურად და კარ-დაკარის პრინციპით შეისწავლა ადგილზე ვითარება.

წინა წელთან მიმართებაში:

<i>სოციალური პროგრამები</i>	2017 წ ფაქტი	2018წ გეგმა
	103,156	147,600
სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	16,433	25,200
ვეტერანთა უკვდავყოფის სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა	500	1,900
ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	12,000	45,000
გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა	7,500	21,000
ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	12,542	15,000
ცერემონიული დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა	9,264	9,500
საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა	44,917	30,000

იხ. ცხრილი N1 და N2

	<i>ჯანდაცვის პროგრამები</i>	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
		263,405	629,700
	ეპილექსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	17,134	24,800
	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	100,178	105,000
	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიზნობრივი პროგრამა	127,043	140,100
	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	19,050	77,400
	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	-	12,700
	პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა	-	9,700
	თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა	-	60,000

სოფლის მეურნეობა

დაემატა ახალი პროგრამები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 800 ლარი.

საქართველოს სოფლის-მეურნეობის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გათვალისწინებული 2018 წლის პროგრამების - „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური

ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ ფერმერული მეურნეობის განვითარებისათვის, ქედის მუნიციპალიტეტის 570 ფერმერს გაეწია კონსულტაცია.

ქედის მუნიციპალიტეტს „ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატერებელი ღონისძიების შესახებ“ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 1 300 ლიტრი ბეფეტრინის შემცველი ინსექტიციდისა და 356 ერთეული ფერომონი გადმოეცა.

2018-2021 წლების მეწარმეობის განვითარების გეგმის განხორციელება უკვე დაიწყო:

- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი ტურისტული პროექტების განხორციელება;
- მახუნცეთის ჩანჩქერის მიმდებარედ, გენგეგმის თანახმად ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა;
- ახალი სერვისების შემუშავება - მთებსა და ჩანჩქერებამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა (მეძიბნა, წონიარისი, ზედა ბზუბზუ, მერისი, ოქტომბერი, ქვედა მახუნცეთი და ა.შ.);
- სოფლად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სხვა.

ზედამხედველობა

მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებაზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 5 (ხუთი) ნებართვა: სოფელ დოლოგანში მურმან ჯინჭარაძის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, სოფელ ქვედა მახუნცეთში, აწჰესის დასახლების მიმდებარედ მემორიალის „საქართველოს სადარაჯოზე“ მშენებლობაზე, სოფელ ვარჯანისში რომილ ბერიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე „ღვინის სახლის“ მშენებლობაზე, სოფელ ზედა მახუნცეთში მერაბ ირემაძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე და სოფელ ზუნდაგაში მალხაზ ვერძაძეზე ერთსართულიანი თევზსაშენი აუზის მშენებლობაზე, ხოლო სოფელ ზენდიდში მცირე ტევადობის (5მ-მდე) მოცულობის თხევადი გაზის ჩამოსასხმელი პუნქტის მშენებლობა გაშვებულ იქნა ექსპლუატაციაში.

წლის განმავლობაში სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას შედგენილი იქნა 10 ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მათ შორის ორი ფიზიკური პირის მიმართ საქმე აღსასრულებლად გადაეგზავნა სააღსრულებო ბიუროს.

ჩატარდა კეთილმოწყობითი სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვის“-ის სამსახურთან ერთად სანიტარული დასუფთავება დაბა ქედის ტერიტორიაზე. კერძოდ გაიწმინდა და დასუფთავდა პარკები და სკვერები ნაგვისა და ნარჩენებისაგან, მოწესრიგდა მუნიციპალიტეტის მერიის, ეკლესიის, ტბ. აბუსერიძის ქუჩების ტერიტორია. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან.

22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა დასუფთავებისა და გამწვანების აქცია რუსთაველის ქუჩაზე მდებარე პარკში და აწჳესის დასახლებაში. თვითმმართველობის მოხელეებთან ერთად დასუფთავდა წონიარისში (ჯაიმელას ხიდი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარე ტერიტორია, ასევე ტარდებოდა ბათუმი-ახალციხის ცენტრალური საავტომობილო გზაზე დასუფთავების აქციები მოსახლეობის, შპს-ს, ააიპ და საჯარო მოხელეების თანამშრომლების მიერ.

მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე დამატებით განთავსებული იქნა 70 ერთეული სანაგვე ურნა. შპს „კომუნალურსერვისზე“ შეძენილ იქნა ერთი ერთეული ნაგავმზიდი და ერთი ერთეული მცირე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომანქანა. ხორციელდება გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოახდინონ მოვლა პატრონობა და დანაგვიანების აღკვეთა.

საანგარიშო პერიოდში შპს „ქედის წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიაღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა წერეთლის, აღმაშენებლის 26 მაისის, რუსთაველის ყ.შერვაშიძისა და 9 აპრილის ქუჩაზე. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

სამსახური აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქედის განყოფილების წარმომადგენელთან ერთად სისტემატურად ანხორციელებს სანიტარულ-

ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევებზე მონიტორინგს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ სადალაქოებსა და სალონებში.

შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და ადმინისტრაციული ცენტრების გარე-იერსახის, გარე-რეკლამის, გარე-ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოეწყობთ ობიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაეცვათ სანიტარული დასუფთავების წესები.

დაბა ქედის ცენტრში მოწესრიგდა სავაჭრო ჯიხურები, შეიღება და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორიები მეპატრონეების მიერ აბუსერიძის და აღმაშენებლის ქუჩაზე. დაიშალა უნებართვო და უსახური შენობა-ნაგებობები 9 აპრილის და რუსთაველის ქუჩებზე.

სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა ასევე, დაბა ქედაში სახოკიას, აღმაშენებლისა და კოსტავას ქუჩებზე მდებარე ყოფილი სამხედრო კომისარიატის ავტოგარაჟის, თამბაქოს მიმღები პუნქტისა და ყოფილი გამგეობის საქვამე შენობა-ნაგებობების მდგომარეობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობები ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს.

გენდერული თანასწორობა

2018 წელს პირველად, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა, რომლებიც შემუშავებულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N 341 დადგენილების შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში, 2018 წელს დაფინანსდა სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები, რაც ხელს უწყობს ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანაბარ წარმოჩენას, თანასწორ მონაწილეობას და ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ასევე, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას.

„არა ძალადობის“ 16 დღიანი კამპანიისთვის, ქედის მერიას მადლობა გამოეცხადა საქართველოს მთავრობის კანცელარიისგან.

შიდა აუდიტი:

შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის № 29 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

- 1) შიდა აუდიტის სამსახურმა სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმება სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფო ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლასა და ანალიზის შესახებ.
- 2) გეგმის შესაბამისად შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, ასევე აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე.

კერძოდ:

- შ.პ.ს. „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესწავლა და ანალიზი.
- სამივლინებო ხარჯების შიდა აუდიტორული ანგარიში.
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანები“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის გათბობისათვის გახარჯული საწვავის მიზნობრიობის აუდიტი.
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების მართვისა და განკარგვის აუდიტი.
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის სახელოვნებო სკოლის“ შიდა აუდიტორული ანგარიში.
- ა.(ა.)ი.პ. „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის მიღების შეძენაზე გაწეული ხარჯებისა და მისი გამოყენების მიზნობრიობის აუდიტი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების გათვალისწინება ხდება მიმდინარე მუშაობის პროცესში და შესრულების კონტროლს ახორციელებს ასევე შიდა აუდიტის სამსახური.

მერიაში მოქმედი ყველა კომისიის მუშაობა საჯაროა:

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანო - საბჭო;
- თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;
- მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
- ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა რეფერირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის საფრთხის აცილების მიზნით ხეების გადაბეღვის განმსაზღვრელი კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობებზე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია, დახურული და გამარტივებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფი საკონკურსო კომისია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქედის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია;
- სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების (საცხოვრებელი სახლი) მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისია;
- პირის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური ჭრის განხორციელების ხელშემწყობი კომისია.

და ბოლოს:

ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად ქედის მერიის ინიციატივა



მახუნცეთში საზეიმოდ გაიხსნა მონუმენტი „სამშობლოს სადარაჯოზე“

2018 წელში მუნიციპალიტეტის მერიაში კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავდა - პროფესიული საჯარო მოხელის სამუშაოს შეფასების სისტემის მეთოდოლოგია და დანერგა პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების ყველაზე ურთულესი 3 დონიანი (მიზანი, ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენციები) სისტემა, რომელიც შეფერხებებისა და დაბრკოლებების გარეშე წარმატებით განხორციელდა. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებულ ფორუმზე ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შეფასების სისტემა დასახელდა ერთერთი სამაგალითო მუნიციპალიტეტთა შორის.

მერიის ინიციატივითა და ორგანიზებით განახორციელა დაბა ქედაში მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ოჯახებისთვის (სულ 90 კომლი) მათ მფლობელობა/სარგებლობაში არსებული ბინების (ფართების) საკუთრებაში უსასყიდლოთ გადაცემის მიზნით დოკუმენტაციის მოწესრიგება, სამართლებრივ ჩარჩოში მოყვანა, მათ შორის 70 ოჯახს სამთავრობო შერეული კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ ბინის ფართობები, რომლის რეგისტრაციაც განხორციელდა საჯარო რეესტრში.

ხაზგასმით, უნდა აღინიშნოს, რომ ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) ამოქმედებისთვის შემუშავდა სამოქმედო ინსტრუქცია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და ინოვაციური იყო

მუნიციპალიტეტისათვის, რომლის მაგალითზე საქართველოს მაშტაბით შემუშავდა მსგავსი დოკუმენტაცია, გარდა ამისა თემის ირგვლივ მომზადდა პრეზენტაცია, რომელიც ქედის მერმა წარადგინა რეგიონალურ შეხვედრაზე, სადაც მუნიციპალიტეტი აღნიშნული მიმართულებით დასახელდა ლიდერად.

სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ მადლობა გამოუცხადა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას სამაგალითო თანამშრომლობისთვის.

მერიის სტრუქტურების საქმიანობის ძირითადი აქცენტებია:

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით, მერიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი და დროულად ეგზავნება შესაბამისი პასუხები ადრესატს;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით, თვითმმართველობამ არაერთი აქტივობა დაისახა მიზნად.
- მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელოვანი ღონისძიებები საჯაროდ განიხილება, რომლებშიც მოქალაქეთა თანამონაწილეობა უმნიშვნელოვანესია;
- ყველა სტრუქტურული ერთეული ღიაა პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.
- პ.ს 2018 წელს მერიაში 600-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა მერთან შესახვედრად.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში
განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შესყიდვების გეგმის შესაბამისად 2018 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს.

3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით

5. დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

**ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის
ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში**

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 5673028 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

2018 წლის განმავლობაში ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გაფორმებული იქნა სულ 307 ხელშეკრულება სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 4725560 ლარი. აქედან ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 4390600 ლარი, მათ შორის კონსოლიდირებული ტენდერით 132946 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 404560 ლარი საიდანაც სააგენტოდან მიღებული ნებართვით გაფორმდა 327205 ლარის ხელშეკრულება ხოლო მონეტარული ზღვრების დაცვით გახარჯული იქნა 77355 ლარი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელდა: „სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული შესყიდვები 19400 ლარის ფარგლებში. ექსკლუზიური უფლებამოსილებით - ადმინისტრაციული შენობის დაცვა -69600 ლარი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებული მომსახურება „ 5660 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობით სატელეფონო მომსახურება 2500 ლარი.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადებულ იქნა 182 ელექტრონული ტენდერი. აქედან არ შედგა, შეწყვეტილი იქნა და უარყოფითად დასრულდა 36 ტენდერი. აღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული შესყიდვების განსახორციელებლად განმეორებით იქნა გამოცხადებული ტენდერები, და შესაბამისად შესყიდვის გეგმით გათვალისწინებული ყველა შესყიდვა სრულყოფილად იქნა განხორციელებული.

გარდა სოფ. პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერისა, რომელის პრეტენდენტებს შორის დავის გამო ვერ დასრულდა და შეწყვეტილი იქნა. აღნიშნული ტენდერი განმეორებით მიმდინარე წლის იანვარში გამოცხადდა.

გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ 5291560 ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ 4725560 ლარი შეადგინა შესაბამისად, 2018 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტენდერების საშუალებით ეკონომია გაკეთდა და დაზოგილ იქნა 566000 ლარი.

ჩატარებული ელექტრონული ტენდერების ძირითადი ნაწილი 3694000 ლარი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების, ამბულატორიების რემონტი და სხვა ღონისძიებები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით შესყიდვები განხორციელდა: სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფად, ეპილევსიით და პარკისონით დაავადებულთათვის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველსაყოფად. „სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარების“ და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების პროგრამით გაიხარჯა სულ 194000 ლარი, შეჭირვებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნით შესყიდული იქნა 30000 ლარის ღირებულების სახურავის თუნუქი. და სხვა.

სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით განხორციელდა 125440 ლარის სახელმწიფო შესყიდვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანების „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად ხდებოდა შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშგების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.